საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 2 15 00629316

01/07/2015

ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში შემოსულ თქვენს 2015 წლის 29 ივნისის N616537 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით გაიცეს სსიპ ქ. თბილისის N18 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კ N01.13.07.024.029) ქვემოთ ჩამოთვლილი რიგი ფართები არსებულ ინვენტართან ერთად - იმ პირობით, თუ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას.

1. სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებული 16.24 კვ.მ.; 49.66 კვ.მ. და 38.28 კვ.მ. ფართები, **სულ-104.18 კვ.მ.** - გამოცდებისათვის მოსამზადებელი სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით (არაუმეტეს სამი წლის ვადით);
2. სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებული 50.75 კვ.მ. ფართი - სამხატვრო სტუდიის ფუნქციონირების მიზნით (არაუმეტეს სამი წლის ვადით);
3. სკოლის შენობის მეორე სართულზე არსებული 9.10 კვ.მ. ფართი - სამუსიკო სტუდიის ფუნქციონირების მიზნით (არაუმეტეს სამი წლის ვადით);
4. სკოლის შენობის მესამე სართულზე არსებული 205.36 კვ.მ. ფართი - ქართული ცეკვების წრის ფუნქციონირების მიზნით (არაუმეტეს ერთი წლის ვადით).

ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ გრძელვადიანი იჯარის შემთხვევაში, მიზანშეწონილია საჯარო სკოლას გააჩნდეს შესაძლებლობა დამოუკიდებელი აუდიტის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე შეიტანოს იჯარის ყოველწლიურ/ყოველთვიურ

გადასახად თანხაში შესაბამისი ცვლილებები. ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N328 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად.

ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის შემდგომ, ათი დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების შემცველი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნა.

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
გოგუაძე დავით